



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 7

„30“ იანვარი 2015 წ.

„თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 აგვისტოს №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 აგვისტოს №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/08/2014, 010250020.35.163.016184) და დადგენილებით დამტკიცებული ადმინისტრაციული სამსახურის დებულების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მუხლი 7. გამგებლის თანაშემწე და სამსახურის მოსამსახურე

1. გამგებლის თანაშემწეს და სამსახურის სხვა მოსამსახურეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს გამგებელი.

2. გამგებლის თანაშემწე უზრუნველყოფს გამგებლის დავალებების შესრულებას, ხელს უწყობს გამგეობის თათბირების ორგანიზებას, აგრეთვე ხელს უწყობს გამგებელს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.

3. სამსახურის სხვა მოსამსახურე პასუხისმგებელია გამგებლის, სამსახურის უფროსის და განყოფილების უფროსის წინაშე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე;
4. სამსახურის მოსამსახურე უზრუნველყოფს გამგებლის, სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსის, აგრეთვე თვითმმართველობის სამართლებრივი აქტებით დაკისრებული უფლება- მოვალეობების შესრულებას.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი